ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 44
19/07/2019

44-08-4-201907191719

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 26 ივლისს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში არსებულ ხელოვნების სასახლისთვის (მისამართი. დ. ჩოხატაური, დუმბაძის ქ. N20ა, საკადასტრო კოდი N28.01.21.166) ნინო რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მაღალამთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2019 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ“.

მომხსენებელი: მერაბი ბერძენიშვილი

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე 56.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.12.24.167) სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმაში მდებარე კულტურის სახლის შენობანაგებობისა და მასზე დამაგრებული 2700.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.10.23.097) სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.5. დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. #2-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 35.20 კვ.მ. ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.007) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2019 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:ლელა მდინარაძე

1.7. მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 6 თვის ანგარიში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა